



6 ივნისი 2008 წ

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ დააკვირდა 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდს, საქართველოს მასშტაბით 40 საარჩევნო ოლქში.

პროექტი დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ, ხოლო ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყო საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI).

პროექტის ძირითადი მიზანი იყო 24 საათიანი მონიტორინგის განხორციელება საქართველოს 40 საარჩევნო ოლქში. დაკვირვების სამიზნეს წარმოადგენდა ზოგადად საარჩევნო ოლქების საქმიანობა, მათ მიერ საჩივრების განხილვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და ოლქის შედეგების დაჯამების პროცესი.

პროექტში გამოყენებული იყო პირდაპირი დაკვირვების მეთოდოლოგია. დამკვირვებლებს გადაეცათ წინასწარ შემუშავებული ანგარიშების ფორმები, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა ყოველდღიური ანგარიშგება. შედეგები დამუშავდა ორივე ორგანიზაციის ცენტრალური ოფისების მიერ.

წარმოგიდგენთ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ საარჩევნო ოლქებზე განხორციელებული დაკვირვების შედეგებს:

ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრების რაოდენობები

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება:

- კენჭისყრის დღეს სულ დაიწერა - 137 საჩივარი;
- არ ჩაიბარეს - 10 საჩივარი;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში შევიდა - 57 საჩივარი;
- სასამართლოში გასაჩივრდა - 3 უბნის შემაჯამებელი ოქმი;
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გასაჩივრდა - 1 საარჩევნო ოლქის გადაწყვეტილება.

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ დაწერილი საჩივრების საფუძველზე:

- გაუქმდა - 16 უბნის შედეგი;
- ნაწილობრივ გაუქმდა - 3 უბნის შედეგი;

დადგა საარჩევნო მოხელეთა პასუხისმგებლობის საკითხი - 14 შემთხვევა;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:

კენჭისყრის დღეს სულ დაიწერა - 147 საჩივარი;

არ ჩაიბარეს - 4 საჩივარი;

საოლქო საარჩევნო კომისიაში შევიდა - 69 საჩივარი;

სასამართლოში გასაჩივრდა - 29 უბანი;

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გასაჩივრდა - 5 საარჩევნო ოლქის გადაწყვეტილება.

„ახალგაზრდა იურისტთა“ მიერ დაწერილი საჩივრების საფუძველზე:

გაუქმდა - 11 უბნის შედეგი;

თავიდან გადაითვალა - 7 უბნის შედეგები;

შესწორდა შემაჯამებელი ოქმი - 9 შემთხვევა;

დადგა საარჩევნო მოხელეთა პასუხისმგებლობის საკითხი - 12 შემთხვევა;

შედეგების დამუშავებისას აღმოჩენილი ძირითადი ტენდენციები

რეგიონების მიხედვით განსხვავდებოდა საჩივრების განხილვისა და მათზე შესაბამისი რეაგირების¹ მოხდენის ტენდენცია².

რეგიონი	საჩივრების რაოდენობა	განუხილავი	დაკმაყოფილებული	დაუკმაყოფილებელი
ბათუმის ³ რეგიონი	98	5	7	86
ქუთაისის ⁴ რეგიონი	46	1	3	42
გურჯაანის ⁵ რეგიონი	112	44	9	59
თბილისის ⁶ რეგიონი	216	11	28	177
ხაშურის ⁷ რეგიონი	65	0	14	51
სულ	537	61	61	415

¹ რეგიონები დაყოფილია “სამართლიანი არჩევნების” რეგიონალური დაყოფის მიხედვით და მოიცავს საქართველოს მასშტაბით 40 ოლქს.

² იგულისხმება ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე წარდგენილი საჩივრების საერთო რაოდენობა;

³ აჭარა, გურია და ფოთი;

⁴ იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სამეგრელო-ზემო სვანეთი;

⁵ კახეთი;

⁶ ქალაქი თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი;

⁷ შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი.

შეინიშნა შემდეგი სახის პრობლემები

ოლქების მიერ:

- ✓ საჩივრის განხილვაზე გადაწყვეტილების დაუსაბუთება (#17 თელავის, #12 გურჯაანის, #16 ყვარლის, #58 წყალტუბოს, #59 ქუთაისის, #62 ჩოხატაურის, #61 ლანჩხუთის, #60 ოზურგეთის, #83 ხელვაჩაურის, #3 საბურთალოს, #22 მარნეულის, #32 გორის, #33 ქარელის, #35 ხაშურის საარჩევნო ოლქები);
- ✓ საჩივრის განხილვაზე უკანონოდ უარის თქმა (#16 ყვარლის, #1 მთაწმინდის, #3 საბურთალოს, #22 მარნეულის, #81 ქობულეთის, #83 ხელვაჩაურის, #32 გორის საარჩევნო ოლქები);
- ✓ საჩივრის განხილვისას მოწმეთა დაუბარებლობა და არსებულ მტკიცებულებათა არასათანადოდ გამოკვლევა (#17 თელავის, #12 გურჯაანის, #58 წყალტუბოს, #23 ბოლნისის, #32 გორის, #9 ნაძალადევის, #27 მცხეთის, #60 ოზურგეთის, #10 გლდანის, #83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქები);
- ✓ მხარეებისათვის საჩივრის განხილვის თარიღის მიზანმიმართულად არ შეტყობინება (#58 წყალტუბოს, #83 ხელვაჩაურის, #32 გორის, #9 ნაძალადევის, #22 მარნეულის საარჩევნო ოლქები);
- ✓ საჩივრების შესახებ გადაწყვეტილებების დაგვიანებით გაცემა (#12 გურჯაანის, #51 ზესტაფონის, #59 ქუთაისის, #60 ოზურგეთის, #61 ლანჩხუთის, #62 ჩოხატაურის, #81 ქობულეთის, #70 ფოთის, #23 ბოლნისის, #32 გორის, #9 ნაძალადევის, #4 კრწანისის, #5 სამგორის საარჩევნო ოლქები);
- ✓ სხდომის ოქმებში დეტალების არასაკმარისად ასახვა (#23 ბოლნისის, #6 სამგორის საარჩევნო ოლქები).

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ ორივე ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ განხორციელდა მონიტორინგი საქართველოს 40 საარჩევნო ოლქის მუშაობაზე. ორგანიზაციის წარმომადგენლები დააკვირდნენ ოლქების მიერ 10 დღის განმავლობაში, ოლქში შესული საჩივრების განხილვის პროცესს. ორივე ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ემყარება არა მხოლოდ ოლქების მიერ „სამართლიანი არჩევნებისა“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ შეტანილი საჩივრების განხილვის პროცესებს, არამედ, ოლქების მიერ განხილული, ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ შეტანილი საჩივრებისა და მათზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

შედეგებზე დაყრდნობით დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო ოლქების პარტიული წესით დაკომპლექტება საქართველოში არსებული პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, მისასაღმებელი ფაქტია. ვთვლით, ამ საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე საარჩევნო ოლქების მუშაობა 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით შედარებით უფრო გამჭვირვალე გახდა. ამავე დროს, 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებისგან განსხვავებით საოლქო კომისიები ძირითადად იხილავდნენ ორივე ორგანიზაციის მიერ წარდგენილ საჩივრებს. რასაც ვერ ვიტყვით სხვა სუბიექტების მიერ წარდგენილ საჩივრებთან მიმართებაში.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ერთად აღმოჩენილ იქნა რიგი ხარვეზები:

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში, კონკრეტულად საჩივრების განხილვის ნაწილში ჯერ კიდევ არსებობს გაურკვეველი ნორმები, რომელთა განმარტება სხვადასხვა არჩევნებში

მონაწილე მხარეების მიერ არაერთგვაროვნად ხორციელდება (მაგალითად დაფიქსირდა არაერთგვაროვანი მიდგომა კენჭისყრის დღეს უბნებზე დაწერილი საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით)

სამწუხაროა, რომ მონიტორინგმა გამოავლინა რიგი შემთხვევები, როდესაც საჩივრები არ იქნა განხილული ტექნიკური მიზეზების გამო (მაგალითად #16 ყვარლის საოლქო კომისიის მიერ ტექნიკური მიზეზების გამო საიას და „სამართლიანი არჩევნების“ გარდა სხვა სუბიექტების მიერ წარდგენილი საჩივრები არ განხილულა ტექნიკური მიზეზების მითითებით)

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოების მიერ განხორციელებული საქმიანობა 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით გაუმჯობესდა, მაინც შეიმჩნეოდა სასამართლოების მიერ წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში არათანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიღება. აღსანიშნავია, რომ სასამართლოების საქმიანობაზე მონიტორინგი განხორციელდა როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდშიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რომ კენჭისყრის დღის შემდგომ სასამართლო წარმოების დროს მოწმედ გამოცხადებული პირების მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა (გორის #48 და მცხეთის #2 უბნებთან მიმართებაში გამოცხადებული მოწმეები). დამკვირვებლები ორგანიზაციები გმობენ ნებისმიერი ფორმის ძალადობას, მათ შორის წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით გამოცხადებული მოწმეების მიმართ და მოუწოდებენ სამართალდამცავ ორგანოებს ობიექტური და დროული რეაგირებისაკენ.

კენჭისყრის დღის შემდეგომ პერიოდში საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საჩივრების განხილვისა და შედეგების შეჯამების პროცესთან დაკავშირებით დაკვირვებელი ორგანიზაციების მიერ მომზადდება ერთიანი ანგარიში და საზოგადოებას უახლოეს პერიოდში წარედგინება.

პროექტი დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ, ხოლო ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყო საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI). აღნიშნული განცხადება შეიძლება არ გამოხატავდეს დამფინანსებელ და მხარდამჭერ ორგანიზაციათა ოფიციალურ პოზიციას.

